## საინფორმაციო ფურცელი

აღნიშნული საინფორმაციო ხასიათის ფურცელი წარმოადგენს არაამომწურავ ინფორმაციას დაზღვეის პირობების შესახებ და არ არის დაზღვევის ხელშეკრულების იდენტური იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი.
საინფორმაციო ფურცლის გაცნობა და მასთან დაკავშირებული განმარტებების გაკეთება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს და შესაბამისად, მოთხოვნებს მხარეთა შორის.

---

## მზღვეველის დასახელება

**სს „PSP დაზღვევა“ (ს/კ 204545572)**
**დაზღვევის ხელშეკრულების სახე :**
ავტო-ტრანსპორტის დაზღვევის ხელშეკრულება

## დაზღვეულის რისკის აღწერილობა და სადაზღვევო დათვარვის პირობები

- ავტოსაგზაო შემთხვევა;
- ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა;
- ხანძარი, აფეთქება, მეხის დაცემა;
- მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ვანდალიზმი;
- საგნების ვარდნა;
- სტიქიური მოვლენები, მიწისძვრისა და სეტყვის ჩათვლით.
- მინების, სარკეების, დამატებითი დეტალებისა და აქსესუარების ცალკეული დაზიანების ერჯერადი ანაზღაურება;

## პრემიის, გარდა მომხმარებლის მიერ ნებისმიერი სხვა ფინანსური ხარჯის გაწევის წინაპირობები, ოდენობა და წესი

დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი ვალდებულია წერილობით გააფრთხილოს დამზღვევი და განუსაზღვროს დამატებითი ვადა, არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღის ოდენობით პრემიის გადასახდელად. აღნიშნული ვადის უშედეგოდ

გასვლის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია წერილობით მოითხოვოს დამზღვევისაგან პირგასამტეხლოს გადახდა გამომუშავეული პრემიის 0.05%-ის ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის; პირგასამტეხლოს დარიცხვა/ათვლა დაიწყება წერილობით შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან. ამასთანავე პირგასამტეხლო გადაიხდება დამატებით, სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულების მიუხედავად, რომლის გადახდაც დამზღვევს არ ათავისუფლებს ნაკისრი ძირითადი ფულადი ვალდებულების შესრულებისაგან;

## ფრანშიზის სახე, ოდენობა და გამოყენების წინაპირობები

**დაზღვევის გამონაკლისი, პირობების სრულყოფილი ჩამონათვალი**

**გამონაკლისები, არ იფარება:**

- არ იფარება ქურდობა/ძარცვით დამდგარი ზარალი, თუ ამ დროს დაზღვეულ ავტომობილში ან ავტომობილზე დატოვებულია გასაღები და/ან ავტომობილის ტექნიკური პასპორტი, დაწეულია მინები და/ან ღიაა კარი;
- გაუფასურება, ამორტიზაცია, ცვეთა, მექანიკური და ელექტროსისტემების/ნაწილების მწყობრიდან გამოსვლა ისეთი მიზეზით რისკებით, რაც არ არის დაფარული წინამდებარე ხელშეკრულებით;
- კომპიუტერის მწყობრიდან გამოსვლა არასადაზღვევო შემთხვევის შედეგად;
- დაზღვეულ ავტოტრანსპორტში ჩამონტაჟებული არაქარხნული დეტალების, მოწყობილობების, აქსესუარების (მათ შორის ტელე-აუდიო-ვიდეო აპარატურის) ან სარკეების დაზიანებით ან განადგურებით გამოწვეული ზარალი;
- დაზღვეული ავტოტრანსპორტის სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრის ნებისმიერი მიზეზით დაკარგვით ან დაზიანებით გამოწვეული ზარალი;
- ავტოტრანსპორტის დაუდგენელ ვითარებაში დაზიანებით გამოწვეული ზარალი, თუ დამზღვევი ან უფლებამოსილი მძღოლი აღნიშნულის შეტყობისთანავე, დაუყოვნებლივ არ დაუკავშირდა მზღვეველს ან თუ ავტოტრანსპორტი გადაადგილებულია სადაზღვევო შემთხვევის ადგილიდან მზღვეველის ნებართვის გარეშე;
- პოლისში მითითებული ტერიტორიული დაფარვის მიუხედავად, საქართველოს ფარგლებს გარეთ მომხდარი შემთხვევა, რომელმაც გამოიწვია დაზღვეული ავტოტრანსპორტის ძარის დაზიანება, გარდა ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევისა (თუ პოლისით დამატებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული);
- საბურავების დაზიანება, თუ ეს არ არის გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევით (თუ სხვა რამ არ არის კონტრაქტში მითითბული);
- რეაქტიული თვითმფრინავის ან სხვა საფრენი აპარატის მიერ წარმოქმნილი ტალღით გამოწვეული დაზიანება;
- კონფისკაცია, დაპატიმრება, დაკავება ან სახელმწიფო ორგანოების დავალების შედეგად გამოწვეული დაზიანება/ზარალი;

- არ ანაზღაურდება კომპიუტერისა და პროგრამული უზრუნველყოფის დაზიანებით გამოწვეული ხარჯები, თუ ეს არ არის გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით;
- ნებისმიერი ისეთი სარემონტო თუ სხვა სახის ხარჯი, რომელიც გააუმჯობესებს დაზღვეული ავტომობილის მდგომარეობას სადაზღვევო შემთქვევამდე არსებულთან შედარებით;
- ნებისმიერი სარემონტო ხარჯი, რომლებიც გამოწვეულია დაზღვევამდე არსებული მიზეზით;
- ინტერიერის, სავარძლების, შალითების და ხალიჩების ცალკეული დაზიანება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დაზიანება გამოწვეულია ავტოსაგზაო შემთხვევით;
- ტენტების, სალონის საფარი ბრეზენტების დაზიანება;
- უხარისხო გზით გამოწვეული სავალი ნაწილის, ტრანსმისიის, ძრავის, საბურავების, დისკების ცალკეული დაზიანება.
- ავტომობილის შეკეთების შედეგად წარმოქმნილი გაუფასურებით.
- საერთო გამონაკლისებში ჩამოთვლილი შემთხვევებით.

## სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველისთვის შეტყობინების გაგზავნის, მოთხოვნის წარდგენის, სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები

- სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი/დაზღვეული ან დამზღვევის უფლებამოსილი სხვა პირი დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეს მზღვეველის ცხელ ხაზს ნომერზე 218 55 55 ***წინააღმდეგ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანია არ განიხილავს პრეტენზიას ზარალის ანაზღაურების თაობაზე;***
- სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დაზღვეული ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს; სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას 30 (ოცდა ათი) სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს მზღვეველს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია:
- ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო (ტექპასპორტის) მოწმობის ასლი; ორიგინალი კი – ქურდობის, ასევე, სრული განადგურების შემთხვევაში;
- მძღოლის მართვის და პირადობის მოწმობის ასლები;
- მძღოლის სიფხიზლის დამადასტურებელი ცნობა, მძღოლის ალკოჰოლური თრობის ფაქტის დადგენის თაობაზე სამედიცინო შემოწმების ოქმი ან/და ალკოტესტით შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი ;
- შემთხვევის დადგომის დამადასტურებელი დოკუმენტები კომპეტენტური ორგანოებიდან (ავტოსაგზაო შემთხვევის დროს - შემთხვევის ადგილი და თარიღი, შემთხვევის ყველა მონაწილის ვინაობა, შემთხვევის მოხდენაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი, საგზაო შემთხვევის სქემა, საქართველოს ფარგლებს გარეთ დამდგარი სადაზღვევო შემთხვევისას, შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საპატრულო პოლიციის ოქმის ანალოგიური საბუთი), მძღოლის მართვის მოწმობის ასლი;
- საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები, მათ შორის საპატრულო პოლიციის მიერ ავტოსაგზაო შემთხვევის დროს განხორციელებული სამხრე კამერის ჩანაწერები;

- თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომა გამოწვეულია მესამე პირის ქმედებით, მზღვეველს დამატებით წარუდგინოს ინფორმაცია ასეთი მესამე პირის შესახებ, კერძოდ: სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;
- კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მზღვეველის მიერ მოთხოვნილი ყველა სხვა აუცილებელი საბუთი;
- შეტყობინება დაზარალებული მესამე პირის (პირების) მიერ პრეტენზიის წაყენების შესახებ;
- "დამზღვევი/დაზღვეული" არღვევს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებს;
- დამზღვევის/დაზღვეულის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არასწორი/არაზუსტი აღმოჩნდება;
- დამზღვევის მიერ ავტოტრანსპორტის დაზღვევის ხელშეკრულების 4 მუხლის 4.1.9 პუნქტით ვადების არასაპატიო მიზეზით (როდესაც არ გააჩნია საბუთის წარმოუდგენლობის დასაბუთებული მიზეზი) დარღვევის შემთხვევაში.
- დაზღვეული ავტომობილი არ გამოიყენება იმ დანიშნულებით, რომელიც მითითებულია პოლისში;
- ავტომობილში მგზავრთა რაოდენობა აღემატება დასაშვებს, ან გადატვირთულია;
- ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილის როგორც ტვირთის ტრანსპორტირებით, ტექნიკური გაუმართაობით, არასაგზაო პირობებში ექსპლუატაციით;
- დაზღვეული ავტომობილი იმყოფება აეროდრომის ან აეროპორტის ტერიტორიაზე, გარდა სპეციალურ ავტოსადგომებზე მომხდარი შემთხვევებისა;
- დაზღვეული ავტომობილის მძღოლი აჭარბებს მოძრაობის წესებით დადგენილ სიჩქარის ლიმიტს;
- დაზღვეული ავტომობილის მძღოლი საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით გადაადგილდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გამოწვეულია მესამე პირის სიცოცხლის გადარჩენის აუცილებლობით;
- დაზღვეული ავტომობილის მძღოლი ატრიალებს ავტომობილს გვირაბში ან ისეთ ადგილას სადაც ასეთი ქმედება დაუშვებელია;
- ზარალი გამოწვეულია, ამორტიზაციით, ცვეთით, ჟანგვით, კოროზიით და ა.შ;
- ზარალი გამოწვეულია მექანიზმებისა და ელექტრომოწყობილობების გაფუჭებით, მწყობრიდან გამოსვლით, გატეხვით;
- ძრავის სიჩქარეების გადაცემათა კოლოფის ნებისმიერ დაზიანებას, გარდა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანებისა;.
- ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილის საპროექტო ან კონსტრუქციული დეფექტებით;
- არა საავტომობილო გზაზე მომხდარი ზარალი;
- ნებისნიერი სახის ზარალს/დაზიანებას რომელიც წარმოიშვა იმ შემთხვევაში როცა:
- დაზღვეულ ავტომობილს მართავს ნებისმიერი პიროვნება უფლებამოსილი მძღოლის გარდა;
- დაზღვეული ავტომობილის მძღოლი იმყოფება ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ (მიუხედავად იმისა, სადაზღვევო შემთხვევა დაზღვეული ავტომობილის მძღოლის ბრალეულობით მოხდა თუ მესამე მხარის მიზეზით);
- ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილის მძღოლის მიერ თვითმკვლელობით ან თვითმკვლელობის მცდელობით;
- ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილის მძღოლის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით;
- დაზღვეული/მოსარგებლე/უფლებამოსილი მძღოლი განზრახ გამოიწვევს ან შეეცდება გამოიწვიოს სადაზღვევო შემთხვევა ან რაიმე ხერხით გააყალბებს ან შეეცდება გააყალბოს რაიმე დოკუმენტაცია ;
- ზარალი გამოწვეულია მესამე პირის მიერ ჩადენილი თაღლითობით, გამოძალვით, მითვისებით ან ასეთის მცდელობით ;

- სხვადასხვა სახის რბოლებში მონაწილეობა, დაზიანება ავტომობილის ნებისმიერი სახით გამოცდისას (TEST DRIVE);
- აღნიშნული ავტომობილი იძებნება და/ან ავტომობილის მახასიათებლები არ ემთხვევა მისი VIN კოდის (ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი) შესაბამის მახასიათებლებს (რომელსაც მოვიპოვებთ სატრანსპორტო საშუალების მწარმოებლის ან სხვა კომპეტენტური წყაროს მეშვეობით);
- ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტოტრანსპორტის სამშენებლო ან/და ისეთ ტერიტორიაზე ყოფნისას, სადაც შეზღუდულია ავტოტრანსპორტით გადაადგილება;
- ნებისმიერი ქმედებით, რომლის შედეგადაც უფლება გვაქვს უარი ვთქვათ ზარალის ანაზღაურებაზე საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე;
- ზარალი გამოწვეულია იონიზებული რადიაციით ან რადიოაქტიური დაბინძურებით; ატომური/ბირთვული ნივთიერებით; რადიოქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო ნივთიერების ტრანსპორტირებით;
- ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი); შემოჭრით, მტრული ძალების ქმედებით, მტრული ან საომარი მოქმედებით;
- სამოქალაქო მღელვარებით;
- სამხედრო ხელისუფლების მიერ (მიუხედვად იმისა, რომ ხორციელდება კანონიერად არჩეული მთავრობის მიერ); უზურპირებული ხელისუფლების მიერ (როდესაც ძალაუფლებას უკანონოდ ხელში იღებს პირი ან პირთა ჯგუფი);
- ტერორიზმის აქტით ან მისი მცდელობით;
- მზღვეველთან შეუთანხმებლად, ავტოტრანსპორტის გამოყენებისას სასწავლო, სასპორტო ან სპეციალური დანიშნულების (სასწრაფო დახმარება, საგზაო პოლიცია, ჯავშანტრანსპორტი, ტაქსი და ა.შ.) მიზნით;

დაუდგენელ ვითარებაში მომხდარი დაზიანება (გამონაკლისი მოქმედებს პაკეტი ავტო-მარტივის შემთხვევაში). მზღვეველი ვალდებულია მოახდინოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა წინამდებარე პირობებით დადგენილი წესით ანაზღაურებისავის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტის მიღების საფუძველზე შედგენილი სადაზღვევო შემთხვევის აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ პირობებით გათვალისწინებულია შესაბამისი ვადა კონკრეტული შემთხვევისათვის. ხოლო მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ზიანის მიყენების, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობის, (მათი მცდელობის) რისკზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა ანაზღაურების გაცემისათვის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტის მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული თვის ვადაში; მზღვეველი უფლებას იტოვებს გადაავადოს ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუ სადაზღვევო რისკის ხდომილების ფაქტთან დაკავშირებით დამზღვევის, უფლებამოსილი მძღოლის(დაზღვეულის) ან მისი წარმომადგენლის მიმართ ან მისი წარმომადგენლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

საქართველო, თბილისი, 0112; დავით აღმაშენებლის გამზ. № 148/III

ტელ.: (+995 32) 2 185 333; www.ipsp.ge